ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 28 თებერვალი 2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორის თენგიზ დუნდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ელ–მარ–დე"მისი დირექტორის თეონა ჯიბლაძეს სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს. ,,შემსყიდველი'', ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი 2015 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი'' მიაწოდებს ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურას (შემდეგში ,,საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 **შესყიდვის კატეგორია** –31200000 ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

კლასიფიკატორის (CPV) კოდი 31224100 -შემაერთებელი და საკონტაქტო ელემენტები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **100(ასი)** ლარს , საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად (ეტაპობრივი მიწოდება), მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი –

შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი: ს/კ 415092919 სახელმწიფო ხაზინა	შპს "ელ–მარ–დე" სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი ბ/კ BAGAGE22 ს/კ 415086622 ა/ა GE81BG0000000486763200
დირექტორი:	დირექტორი:
ბენგიზი დუნდუა	თეონა ჯიბლაძე

დანართი 1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაო დენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მოწოდების ადგილი და ვადები
1	ჩანგალი	10	1	10	ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი:
2	როზეტები	10	3	30	
4	ჩანგალი როზეტის ბუდით	10	3	30	
5	ჩამრთველი	10	3	30	
				100	

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი

დირექტორი
თენგიზ ბიდზინდუა

„მიმწოდებელი“

შპს ,,ელ–მარ–დე“

დირექტორი
ფეიონა ჭიბლაძე